GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

08 Nisan / აპრილი 2022

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 728.6	5015.3	10.4%	20.6 %	11.8 %

Türkiye Cumhuriyeti İçişleri Bakanının Gürcistan Ziyareti
თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი საქართველოში

Türkiye Cumhuriyeti İçişleri Bakanı Süleyman Soylu, üst düzey bir heyet ile Gürcistan'a resmi ziyarette bulundu. Gürcistan İçişleri Bakanı Vakhtang Gomelauri, Türk meslektaşı havaalanında karşıladı. Ziyaret kapsamında İçişleri Bakanı Süleyman Soilu, Başbakan Irakli Gharibashvili'nin ardından Gürcistan İçişleri Bakanı Vakhtang Gomelauri tarafından ağırlandı.

Gürcistan Hükümeti'nin üst düzey yetkililer Türkiye Cumhuriyeti İçişleri Bakanı'na Gürcistan'ın egemenliği, toprak bütünlüğü ve Avrupa-Atlantik özlemlerine verdiği sarsılmaz destek için teşekkür ettiler. Bakan Soylu hem Gürcistan hem de Ukrayna'ya verdiği desteğini bir kez daha teyit ederek bölgedeki barış ve istikrarın gereğini vurguladı.
Görüşmelerde, iki ülke arasındaki dostluk ve ortaklık ilişkileri, Kolluk kuvvetlerinin verimli işbirliği, Güney Kafkasya'daki güvenlik durumu ve bunun üzerinde Ukrayna'da devam eden çatışmanın etkisi gibi konular ele alınmıştır.

თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი - სულეიმან სოილუ, საქართველოს მაღალი დონის დელეგაციასთან ერთად, ოფიციალური ვიზიტით ეწვია. თურქ კოლეგას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური აეროპორტში დახვდა. ვიზიტის ფარგლებში შსს მინისტრ სულეიმან სოილუს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა შემდეგ კი ქართველმა კოლეგამ ვახტანგ გომელაურმა უმასპინძლეს.
მასპინძლებმა თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და ევროატლანტიკური მისწრაფებების ურყევი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადეს. თავის მხრივ მინისტრმა სოილუმ კიდევ ერთხელ დაადასტურა როგორც საქართველოს, ისე უკრაინის მიმართ მხარდაჭერა, ასევე აღნიშნა მშვიდობის და სტაბილურობის აუცილებლობა რეგიონში.

შეხვედრებზე ყურადღება გამახვილდა ორ ქვეყანას შორის არსებულ მეგობრულ და პარტნიორულ ურთიერთობებზე, სამართალდამცავი უწყებების ნაყოფიერ თანამშრომლობაზე, სამხრეთ კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების კუთხით არსებულ ვითარებაზე და იმ გავლენაზე რომელიც მასზე უკრაინაში მიმდინარე საომარმა მოქმედებებმა იქონიეს.

ARKAS GEORGIA LLC İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI EFES GEORGIA MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING Ziraat Bankası

Ekonomik Konsey Toplantısı

ეკონომიკური საბჭოს შეხვედრა

Gürcistan Başbakanı, Ekonomi Konseyi'nin bir sonraki çalışma toplantısını gerçekleştirdi. Ekonomik büyümenin hızlandırılması konseyin temel amacıdır. Konsey toplantısında görüşülen konular arasında inşaat ve altyapı projeleri, ihracat potansiyeli, turizm sektörü, endüstriyel ve gıda stokları vardı.

Cari yılda inşaat ve altyapı projelerin kısmındaki ek müteahhitlik anlaşmalar ülkenin uzun vadeli alımlar yapmasına katkıda bulunacak. Toplantıda yakın gelecekte duyurulacak projeler ele alındı.

Ekonomi Bakanı Levan Davitashvili, turizmin canlandırılması yönünde mevcut dinamiklerin umut verici olduğunu kaydetti.

Konuşmalar Gürcistan'da büyüyen ve daha da fazla koordinasyon gerektiren lojistik konular, trafik akışları ve kargo akışlara değindi.

Bölgedeki duruma rağmen sanayi ve gıda ürünler tedarikinde herhangi bir sorun veya gecikme yaşanmadığı kaydedildi.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ეკონომიკური საბჭოს მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა. საბჭოს მიზანი ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაა. საბჭოს შეხვედრაზე განხილულ საკითხებს შორის იყო სამშენებლო და ინფრასტრუქტურული პროექტები, ექსპორტის პოტენციალი, ტურიზმი და სამრეწველო-სასურსათო მარაგები.

მიმდინარე წელს სამშენებლო-ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილში არის დამატებითი მოცულობის დაკონტრაქტება, რაც ქვეყანას გრძელვადიანი შესყიდვების საშუალებას მისცემს. საუბარი შეეხო კონკრეტულ პროექტებს, რომლებიც უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი.

ტურიზმის აღდგენის მიმართულებით ეკონომიკის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე დინამიკა დამაიმედებელია.

საუბარი შეეხო ლოგისტიკურ საკითხებს, სატრანსპორტო ნაკადებსა და ტვირთ ნაკადებს, რომელიც საქართველოში მზარდია და კიდევ უფრო მეტ კოორდინაციას მოითხოვს.

აღინიშნა, რომ რეგიონში არსებული სიტუაციის მიუხედავად, ქვეყნის სამრეწველო და სასურსათო პროდუქციის მომარაგების თვალსაზრისით შეფერხება არ არის.

ARKAS GEORGIA LLC İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI EFES GEORGIA MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING Ziraat Bankası

Gürcistan Dışişleri Bakanı Olarak İlia Darchiaşvili Görevlendirildi
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად ილია დარჩიაშვილი დაინიშნა

İlia Darchiaşvili Gürcistan Dışişleri Bakanı olarak görevlendirildi. Bu haberi, Başbakan İrakli Garibaşvili basın toplantısında açıkladı. Darchiaşvili, çalışmaya ABD'de büyükelçi olarak devam edecek Davit Zalkaliani'nin görevini üstlenecek.
Hükümet lideri, İlia Darchiaşvili'nin eğitimi ile deneyiminin altını çizdi ve kendisinin başarılı bir bakan olacağını teyit etti. İlia Darçiaşvili ve Davit Zalkaliani hükümet liderine, onlara karşı gösterdiği güven için teşekkürlerini sundular.

ილია დარჩიაშვილი საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა. ამის შესახებ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა. დარჩიაშვილმა ამ თანამდებობაზე დავით ზალკალიანი შეცვალა, რომელიც აშშ-ში საქართველოს ელჩის პოზიციაზე გააგრძელებს მუშაობას.
მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა ილია დარჩიაშვილის განათლებასა და გამოცდილებას და აღნიშნა, რომ იგი წარმატებული მინისტრი იქნება. ილია დარჩიაშვილმა და დავით ზალკანიანმა მთავრობის მეთაურს გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაუხადეს.

NATO Dışişleri Bakanları Toplantısı
ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტერიალი

Gürcistan Dışişleri Bakanı, Kuzey Atlantik Antlaşması'nın davetlisi olarak NATO Dışişleri Bakanlar toplantısına katıldı. Ziyaret kapsamında NATO Ortak Ülkeleri Grubu çerçevesinde Gürcistan, Ukrayna, İsveç, Finlandiya, Japonya, Avustralya, Kore Dışişleri Bakanları ve Avrupa Yüksek Temsilcisi Josep Borrell'in katılımıyla bir toplantı gerçekleştirdi.
İlia Darchiashvili, ziyaret çerçevesinde NATO Genel Sekreteri Jens Stoltenberg, Türkiye Dışişleri Bakanı Mevlüt Çavuşoğlu ve meslektaş bakanlarla temaslarda bulundu.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მიწვევით მონაწილეობა მიიღო ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტერიალში. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს, უკრაინის, შვედეთის, ფინეთის, იაპონიის, ავსტრალიის, კორეის საგარეო საქმეთა მინისტრების და ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ჟოზეფ ბორელის მონაწილეობით შეხვედრა გაიმართა ნატო-ს პარტნიორი ქვეყნების ჯგუფთან.

ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტერიალის ფარგლებში, ილია დარჩიაშვილმა შეხვედრები ასევე გამართა ნატოს გენერალურ მდივანთან იენს სტოლტენბერგთან, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მევლუთ ჩავუშოღლუსთან და კოლეგა მინისტრებთან.

ARKAS GEORGIA LLC İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI EFES GEORGIA MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING Ziraat Bankası

Turizm Sektörüne Teşvik

შეღავათი ტურისტულ სექტორს

Gürcistan Hükümeti, Turizm sektöründeki durumu inceledikten sonra, tek seferlik vergi muafiyeti getirilmesine karar verdi. Otel ve restoran endüstrisi de dahil olmak üzere turizm sektörü, 2021 yılında emlak vergisini ödemeyecek. Bu karar sadece 2021 yılındaki emlak vergileri için geçerli olup pandemiden en çok etkilenen sektörü kapsayacak.

Emlak vergisinden tek seferlik muaf tutulacak mülkler:

Otellerde, seyahat ve diğer kısa süreli konaklamalar için kullanılan mülkler;

Restoranlar ve mobil yemek hizmeti kapsamında kullanılan mülkler;

İçecek servisi faaliyetleri için kullanılan mülk;

Seyahat ajansları, tur operatörler ve diğer rezervasyon hizmetleriyle ilgili faaliyetler için kullanılan mülk.

Vergi muafiyeti, yukarıda belirtilen faaliyetlerde kullanılması için kiralama, leasing veya benzer yollarla devredilen mülkler için de geçerli olacağı belirtilmelidir.

საქართველოს მთავრობამ ტურიზმის სექტორში არსებული მდგომარეობის შესწავლის შემდეგ ერთჯერადი საგადასახადო შეღავათის შემოღების გადაწყვეტილება მიიღო. ტურიზმის სექტორი, მათ შორის, სასტუმრო და სარესტორნო ინდუსტრია, 2021 წლის ქონების გადასახადს აღარ გადაიხდის. ეს სიახლე მხოლოდ 2021 წლის ქონების გადასახადს შეეხება და მოიცავს დარგს, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა პანდემიის შედეგად.

ქონების გადასახადისგან ერთჯერადად გათავისუფლდება:

სასტუმროებში, დასასვენებელ და სხვა მოკლევადიან განთავსების საშუალებებში გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

რესტორნებსა და საკვებით მობილურ მომსახურებაში გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება;
სასმელებით მომსახურების საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

ტურისტული სააგენტოების, ტურ-ოპერატორების და სხვა დაჯავშნის მომსახურებასა და მათთან დაკავშირებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება.

აღსანიშნავია, რომ საგადასახადო შეღავათი ასევე გავრცელდება იჯარით, ლიზინგით ან სხვა ამგვარი ფორმით გადაცემულ ქონებაზედაც, თუ ეს ქონება რომელიმე აღნიშნულ საქმიანობაში გამოიყენება.

ARKAS GEORGIA LLC İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI EFES GEORGIA MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING Ziraat Bankası

Mart 2022'de Gürcistan'ı 211 484 uluslararası ziyaretçi ziyaret etti. Bundan turistlerin sayısı 159 199 oldu. Bu, Mart 2021 deki verilere 107 944 ile daha fazladır, Mart 2019 ile karşılaştırıldığında ise toparlanma %48,5 oranında.

2022 წლის მარტში საქართველოს 211 484 საერთაშორისო ვიზიტორი ეწვია. აქედან ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 159 199 შეადგინა. აღნიშნული 2021 წლის მარტთან შეადრებით 107 944-ით მეტია, 2019 წლის მარტის თვესთან შედარებით კი აღდგენა 48.5%-ია.

COVID-19

Gürcistan'da günlük korona virüs vakaların sayısı önemli ölçüde düştü. Ülkede gün boyunca artık yaklaşık 400 vaka doğrulanıyor. Yukarıdakilerden dolayı ölüm sayısı da azaldı ve birim düzeyindedir. İyileşmiş durum nedeniyle, ülkede yürürlükte olan kısıtlamalar da aynı şekilde minimum seviyededir.

Buna rağmen aşılama süreci devam etmektedir. Gürcistan'da toplam 2 861 255 kişi aşılandı. Aşı için kayıtları devam etmektedir. Kayıt portalı: https://booking.moh.gov.ge

Korona virüsün enfeksiyon oranı dünya çapında da azaldı. Bu aşamada en yüksek vaka sayılar aşağıdaki ülkelerde kaydedildi: Kore (205.289 vaka), Avusturya (59.029 vaka), Japonya (55.044 vaka), Meksika (32.216 vaka) ve Tayland (25.140 vaka).

საქართველოში კორონა ვირუსის შემთხვევებმა საგრძნობლად იკლეს. დღიურად ქვეყანაში დაახლოებით 400 შემთხვევა დასტურდება. აღნიშნულიდან გამომდინარე იკლო გარდაცვალების შემთხვევებმა და ის ერთეულების დონეზეა. გაუმჯობესებული მდგომარეობიდან გამომდინარე შემცირებულია ქვეყანაში მოქმედი შეზღუდვები.

აღნიშნულის მიუხედავად მიმდინარეობს ვაქცინაციის პროცესი. საქართველოში ჯამურად აცრა 2 861 255 ადამიანს ჩაუტარდა. ვაქცინაციაზე რეგისტრაცია უწყვეტად მიმდინარეობს. რეგისტრაციის პორტალი: https://booking.moh.gov.ge

კორონა ვირუსით ინფიცირების მაჩვენებელმა იკლო მსოფლიოს მასშტაბითაც. ინფიცირების ყველაზე მაღალი რაოდენობა ამ ეტაპისთვის ფიქსირდება: კორეა (205 289 შემთხვევა), ავსტრია (59 029შემთხვევა), იაპონია (55 044 შემთხვევა), მექსიკა (32 216შემთხვევა) და ტაილანდი (25 140 შემთხვევა).

ARKAS GEORGIA LLC İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI EFES GEORGIA MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING Ziraat Bankası

Gürcistan'da Enflasyon
ინფლაცია საქართველოში

Mart 2022'de Gürcistan'da enflasyon %2.5 yıllık enflasyon oranı ise %11.8 olarak teşkil etmiştir.
2022 წლის მარტში ინფლაციის დონემ საქართველოში 2.5% ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 11.8% შეადგინა.

Yıllık enflasyon oluşumunun temel neden aşağıdaki gruplarda fiyatların değişimi olmuştur:
წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

1. Gıda ve Alkolsüz İçecekler / სურსათი და უალკოჰოლო სასმელები - 17.8% ↑
   - Yağlar / ზეთი და ცხიმი - 17.1% ↑
   - Sebze / ბოსტნეული - 27.0% ↑
   - Ekmek ve ekmek ürünleri / პური და პურპროდუქტები - 23.5% ↑
   - Süt, peynir ve yumurta / რძე, ყველი და კვერცხი - 15.3% ↑
   - Şeker ve diğer tatlılar / შაქარი და სხვა ტკბილეული - 20.0% ↑
   - Balık / თევზეული - 19.0% ↑
   - Meyveler/ხილი - 16.8% ↑
   - Alkolsüz içecekler / უალკოჰოლო სასმელები - 24.6% ↑
   - Et ve et ürünleri / ხორცი და ხორცის პროდუქტები - 10.5% ↑
   - Kahve, çay ve kakao / ყავა, ჩაი და კაკაო - 14.1% ↑
2. Ulaşım / ტრანსპორტი - 29.5 % ↑
3. İçme su, elektrik ve gaz / წყალი, ელ. ენერგია, აირი - 8.4% ↑



ARKAS GEORGIA LLC İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI EFES GEORGIA MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING Ziraat Bankası

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 3.0836 **TRY/GEL** – 0.2090 **EUR/GEL** – 3.3577 **GBP/GEL** – 4.0041

USD/GEL

01 - 08 Nisan 2022

USD/TR

01 - 08 Nisan 2022

TRY/GEL

01 - 08 Nisan 2022



BTC – 43 576. 24

01 - 08 Nisan 2022



ARKAS GEORGIA LLC İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI EFES GEORGIA MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING Ziraat Bankası